ჟენევაში გაეროს განყოფილებასთან და სხვა
საერთაშორისო ორგანიზაციებთან
საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა

MISSION PERMANENTE DE LA GEORGIE
AUPRES DE L'ONU ET DES AUTRES
ORGANISATIONS INTERNATIONALES A GENEVE

39586-49-3-201908141903

№ 39586-49
14/08/2019

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ხათუნა თოთლაძეს**

ქალბატონო **ხათუნა,**

მუდმივი წარმომადგენლობის მ.წ. 26 ივნისის № 30925-49 წერილზე დამატებით გაცნობებთ, რომ 2019 წლის 25 ივლისს გაიმართა ბავშვის უფლებათა კომიტეტის 79-ე სესიის (ქ. ჟენევაში, 2019 წლის 9-27 სექტემბერს) მოსამზადებელი შეხვედრა კომიტეტის სამდივნოსთან, რომლის დროსაც მოგვეწოდა ინფორმაცია შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმის 8-ე მუხლის შესაბამისად და ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმის 12-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ ანგარიშებზე დაგეგმილი განხილვის პროცესზე.

წარმოგიდგენთ საქართველოს ანგარიშების განხილვის პროცესის შესახებ ინფორმაციას:

შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმის 8-ე მუხლის შესაბამისად და ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმის მე-12 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ ანგარიშებს გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი განიხილავს 79-ე სესიის ფარგლებში, 2019 წლის 17 სექტემბერს ქ. ჟენევაში.

ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ დამატებითი ოქმის შესრულების ანგარიშის განხილვა დაგეგმილია 10:00 საათიდან 13:00 საათამდე, ხოლო შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ დამატებითი ოქმის შესრულების ანგარიშის განხილვა 15:00 საათიდან 18:00 საათამდე. ამასთან, 13:00-15:00 საათამდე დაგეგმილია შესვენება.

საქართველოს დელეგაცია სასურველია შედგებოდეს მაღალი თანამდებობის პირებისგან. დელეგაციის შემადგენლობაში შესაძლოა წარმოდგენილნი იყვნენ: პარლამენტის წევრები, ასევე სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები. დელეგაციის

რიხარდ ვაგნერის ქ. 1, 1202 ჟენევა, შვეიცარია ‖ Rue Richard Wagner 1, 1202 Genève
ტელ./Tel: +41 (22) 919-10-10; ფაქსი/Fax: + 41 (22) 733-90-33; ელ-ფოსტა /E-mail: geomission.geneva@mfa.gov.ge

შემადგენლობაში შესაძლებელია თარჯიმნის შეყვანაც. ამასთან, დელეგაციის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია კომიტეტს უნდა მიეწოდოს არაუგვიანეს 6 სექტემბრისა. კომიტეტის სამუშაო ენებია: ესპანური, ფრანგული და ინგლისური, ხოლო სხვა ენებზე თარგმნას გაერო არ ანაზღაურებს. გარდა ამისა კომიტეტის სხდომა არის ღია და სხდომის მიმდინარეობა გადაიცემა პირდაპირ ეთერში გაეროს ვებგვერდზე. გათვალისწინებულია მედიის წარმომადგენლების მიერ სხდომის გაშუქებაც, მხოლოდ მათთვის გაეროში დადგენილი წესების შესაბამისად.

განხილვა დაიწყება საქართველოს დელეგაციის განცხადებით, რომლისთვისაც განკუთვნილია 15 წუთი და რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ორივე დამატებითი ოქმის შესრულებასთან დაკავშირებით. საქართველოს დელეგაციამ თავის გამოსვლაში ყურადღება უნდა გაამახვილოს ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებულ კონკრეტულ საქმიანობაზე. გარდა ამისა, გამოსვლის ტექსტის მომზადებისას დელეგაციას შეუძლია იხელმძღვანელოს ა.წ 8 მარტის კომიტეტის წინა-სასესიო სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული საკითხთა ჩამონათვალით. ამასთანავე, აღნიშნულ საკითხთა ჩამონათვალზე საქართველოს წერილობითი პასუხი კომიტეტს უნდა მიეწოდოს შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში. საქართველოს დელეგაციის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ეძლევა CRC-ის საქართველოზე მომხსენებლებს, რომლებსაც ჯამში მაქსიმუმ 40 წუთი აქვთ. ამასთან, კომიტეტის მიერ კითხვები დაყოფილია 9 ნაწილად/კლასტერად. განხილვის პირველ ეტაპზე კითხვებს დასვამენ ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ დამატებითი ოქმის შესრულების შესახებ. აღნიშნულის შემდეგ საქართველოს დელეგაციას აქვს 15 წუთი პასუხების მოსამზადებლად. აქვე, სასურველია პასუხები იყოს კლასტერების მიხედვით. სესიის დღის პირველი ნახევრის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე (12:30) კითხვებს დასვამენ შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ დამატებითი ოქმის შესრულებასთან დაკავშირებით. პასუხების გაცემა შესაძლებელი იქნება სადილის შემდეგ 15:00 საათზე. იმ შემთხვევაში თუ პირველი კლასტერიდან შეკითხვებზე პასუხის გაცემა დღის პირველ ნახევარში ვერ მოესწრება ეს სეგმენტი გადავა დღის მეორე ნახევარში. გარდა ამისა, პასუხის გაცემის დროს კომიტეტის წევრებს უფლება აქვთ დასვან დამატებითი შეკითხვები. იმ შემთხვევაში თუ დელეგაცია ვერ მოასწრებს კითხვებზე პასუხების გაცემას, ან ჩათვლის რომ ინფორმაცია ვერ იქნა ამომწურავად მიწოდებული, მას უფლება აქვს სხდომის დასრულებიდან 48 სამუშაო საათის განმავლობაში (2 სამუშაო დღე) წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია სამდივნოს (არაუგვიანეს 20 სექტემბრისა).

სესიის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, გათვალისწინებულია დასკვნითი შენიშვნების გაკეთების შესაძლებლობა, რომლისთვისაც საქართველოზე მომხსენებლებს მიეცემათ 10 წუთი და საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს კი 5 წუთი. საქართველოზე შემაჯამებელი ანგარიშის მიღება შესაძლებელი იქნება მისი დამტკიცებისთანავე (სავარაუდოდ 30 სექტემბრიდან - 1 ოქტომბრის პერიოდში). ამასთან, დოკუმენტის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში საქართველომ სამდივნოს უნდა მიაწოდოს შენიშვნები ფაქტობრივ და ტექნიკურ უზუსტობებთან დაკავშირებით. ტექსტში შინაარსობრივი ცვლილებების შეტანა პროცედურით გათვალისწინებული არ არის.

პატივისცემით,
ვიქტორ დოლიძე

მუდმივი წარმომადგენელი